განკარგულება - N 20.1561.1907
23 / დეკემბერი / 2020 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების (ჯიხურის განთავსების მიზნით) მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ვ'' და „დ.ზ" ქვეპუნქტების, 127^2 და 163^3 მუხლების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული მე-14 მუხლის პირველი, მე-2 და 3^1 პუნქტების შესაბამისად, ასევე, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის „იზოლაციის და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" N322 დადგენილებისა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 დეკემბრის „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" N756 დადგენილების გათვალისწინებით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნეს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების მისაღებად/შესათანხმებლად წარედგინოს შემდეგი საკითხი:

ა) იმ პირთა მიმართ, რომელთა აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, დროებითი შენობა-ნაგებობის - ჯიხურის განთავსების მიზნით გადაცემული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების სარგებლობის ხელშეკრულების ვადა საკრებულოს მიერ ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის გასულია (მათ შორის, ხელშეკრულება შეწყვეტილია), თუმცა პირი ამ დროისათვის ფაქტობრივად სარგებლობს მიწის ნაკვეთით (მასზე განთავსებული აქვს ჯიხური) და მიწის ნაკვეთი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სხვა პირზე არ არის რაიმე ფორმით განკარგული, სარგებლობის ვადის გასვლის (შეწყვეტის) თარიღიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე სარგებლობის ვადა მიჩნეულ იქნეს გაგრძელებულად და ამ პერიოდზე ფაქტობრივი სარგებლობისათვის გადასახდელი სარგებლობის ქირა განისაზღვროს 0 (ნული) ლარის ოდენობით;

ა.ა) ასეთ მოსარგებლეებს სარგებლობის ვადის ამოწურვის თარიღიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე მიწის ნაკვეთით ფაქტობრივი

სარგებლობისათვის გადასახდელი სარგებლობის საფასურის (ქირის) გადაუხდებლობის გამო არ დაეკისროთ პირგასამტეხლო;

ა.ბ) მიწის ნაკვეთით ფაქტობრივი სარგებლობისთვის გადახდილი სარგებლობის საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექვემდებარება ჩათვლას ან/და დაბრუნებას;

ა.გ) მოსარგებლეთა მიერ შესაბამისი ნების გამოხატვის შემთხვევაში, შესაბამის მიწის ნაკვეთზე ჯიხურით სარგებლობის გაგრძელების მიზნით, სარგებლობის ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 2021 წლის 1 ივლისამდე, შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის (ქირის) ოდენობისა და გადახდის წესის შეუცვლელად;

ა.დ) „ა,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება გავრცელდეს მხოლოდ იმ მოსარგებლეთა მიმართ, რომლებიც დადგენილი წესით, არაუგვიანეს 2021 წლის 28 თებერვლისა, გამოხატავენ ნებას სარგებლობის უფლების გაგრძელების თაობაზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის შესაბამისი განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენის გზით და რომელთა მიმართაც სსიპ - ქონების მართვის სააგენტო გამოსცემს ამ განკარგულების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებას. მოსარგებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს მომართვის დროისათვის მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად ფლობის (განთავსებული ჯიხურის) დამადასტურებელი ფოტომასალა;

ბ) იმ პირთა მიმართ, რომელთაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯიხურის განთავსების მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების სარგებლობის ხელშეკრულების ვადა იწურება 2021 წლის 1 ივლისამდე, მოსარგებლეთა მიერ შესაბამისი ნების გამოხატვის შემთხვევაში, სარგებლობის ვადა გაგრძელდეს არაუმეტეს 2021 წლის 1 ივლისამდე, შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის (ქირის) ოდენობისა და გადახდის წესის შეუცვლელად;

ბ.ა) აღნიშნული ღონისძიება გავრცელდება მხოლოდ იმ მოსარგებლეთა მიმართ, რომლებიც შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში (თუმცა არაუგვიანეს 2021 წლის 1 ივლისისა), დადგენილი წესით გამოხატავენ ნებას სარგებლობის უფლების გაგრძელების თაობაზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის შესაბამისი განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენის გზით და რომელთა მიმართაც სსიპ - ქონების მართვის სააგენტო გამოსცემს ამ განკარგულების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ბრძანებას.

2.ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებები გავრცელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული), ჯიხურის განთავსების მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთის მოსარგებლეთა მიმართ, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ განკარგულებით გათვალისწინებულ შესაბამის კრიტერიუმებს.

3.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ უზრუნველყოს:

ა) ამ განკარგულებით გათვალისწინებულ მოსარგებლეთათვის ამ განკარგულების გაცნობა მისი გამოქვეყნების, გადაცემის, ფოსტის ან/და ელექტრონული საშუალებებით გაგზავნის გზით;

ბ) სარგებლობის უფლების არაუმეტეს 2021 წლის 1 ივლისამდე პერიოდზე გაგრძელების თაობაზე მოსარგებლეთა განცხადებების განხილვა და ამ განკარგულებით დადგენილი კრიტერიუმების არსებობისა და მოსარგებლეთა მიერ ამ განკარგულებით დადგენილი მომართვის ვადების დაცვის შემთხვევაში, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გამოცემა უცვლელი პირობებით სარგებლობის ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ, რაც არ საჭიროებს დამატებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვისა და საკრებულოსთვის წარდგენას.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

5.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე